წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის

საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ.წყალტუბო **05 მარტი, 2026 წელი, 11:00 სთ.**

საბჭოს წევრები:

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარეხ კანკაძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

ფატი გაგოშიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ანა გელენიძე - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ელენე კრავცოვა - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;

არჩილ ღიბრაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

ლატავრა ბენდელიანი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე;

ლალი გრიგოლავა - არასამთავრობო ორგანიზაცია ,,წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი";

თეიმურაზ ფირცხალავა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივის გაცნობა, განხილვა და მისი შეფასება სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარმოდგენილი 1 (ერთი) საპროექტო ინიციატივა.

საპროექტო ინიციატივა, ჯამური ღირებულებით - 149650 ლარი.

1) **ღირებულება:** 149650 ლარი;

   დასახელება: "წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და ქალაქში მდებარე სკვერების ინვენტარიზაცია";

   აღწერა: ქალაქის ტერიტორიაზე უნდა განვითარდეს რეკრეაციული ზონები და განხორციელდეს დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამების, დეკორატიული ქვის უსაზურგო სკამების, დეკორატიული ქვის ტალღისებური სკამების, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების და დეკორატიული ქვის ურნების განთავსება სხვადასხვა ლოკაციებზე (მათ შორის პარკში და ქალაქში მდებარე სკვერებში);

   ავტორი: თამაზ დუნდუა (ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე).

N1

მოისმინეს:

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო თამაზ დუნდუას (ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა შევსებულია სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საპროექტო ინიციატივას ასევე ხელს აწერს 10 მხარდამჭერი (ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრები).

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, აღნიშნა, რომ დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამების, დეკორატიული ქვის უსაზურგო სკამების, დეკორატიული ქვის ტალღისებური სკამების, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების და დეკორატიული ქვის ურნების შეძენა, ქალაქ წყალტუბოს მოსახლეობის ინტერესებს წარმოადგენს და გამომდინარე აქედან შესაბამისობაშია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მიზნებთან.

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

სხდომას ესწრებოდა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს 9 წევრი

მიღებულია გადაწყვეტილება:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, შესყიდულ იქნას დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამები, დეკორატიული ქვის უსაზურგო სკამები, დეკორატიული ქვის ტალღისებური სკამები, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდები და დეკორატიული ქვის ურნები.

საბოლოო შედეგები:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარმოდგენილი 1 საპროექტო ინიციატივა შესაბამისობაშია ფორმირების წესით განსაზღვრულ პირობებთან.

საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება არ აღემატება ჯამურად გამოყოფილ თანხას (150000 ლარი), შესაბამისად ინიციატივების გადასარჩევად დამატებითი პროცედურების, კერძოდ არჩევნების ჩატარება არ არის საჭირო და ის ექვემდებარება დაფინანსებას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ ყურაშვილი

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მალხაზ ჩხეიძე

საბჭოს წევრები:

მარეხ კანკაძე

ფატი გაგოშიძე

ანა გელენიძე

ელენე კრავცოვა

არჩილ ღიბრაძე

ლატავრა ბენდელიანი

ლალი გრიგოლავა

თეიმურაზ ფირცხალავა